ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01180922992**

თარიღი: **02.04.2018**

ადრესატი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი

ირაკლი კეკელია

პირადი ნომერი: 01001052309

მისამართი: თბილისი მ.იპოლიტოვ-ივანოვის ქ. N 30

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-16 ბრძანებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურის ფუნქციას წარმოადგენს სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემისთვის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის კ-1 და კ-2 კოეფიციენტების განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებისთვის. ამავე მუხლის მე-4 პუნტის თანახმად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მიღების თაობაზე განცხადება უნდა წარედგინოს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილ თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-16 ბრძანებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-2 მუხლის შესაბამისად, ამ დადგენილების ამოქმედებიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ურბანული განვითარების მიმართულებით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით უფლებამოსილ სამსახურად განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური, ხოლო მიმდინარე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით უფლებამონაცვლედ განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური წარმოადგენს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფლებამონაცვლეს ურბანული პოლიტიკის განსაზღვრის, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავებისა და ქალაქმშენებლობითი პროცესების მართვის ნაწილში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

განსახილველ შემთხვევაში **NAR1571245** განცხადებით მოთხოვნილია ქ. თბილისში, (ს.კ. **01.12.02.015.073)** მდებარე მიწის ნაკვეთისათვის პარამეტრების მატება (ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დაწერეთ ზუსტად რას ითხოვს, რომელი პარამეტრის მატებას და რა ოდენობით), რომელიც საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას და მასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ და ,,კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, მოცემულ შემთხვევაში თბილისის მერის ბრძანება გამოიცემა დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება;

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან წინამდებარე განცხადებით დაინტერესებულ პირს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ მესაკუთრე ან ის პირი, ვის კანონიერ ინტერესზეც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს გამოსაცემი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, წინამდებარე განცხადების განხილვიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში, დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, თანაგანმცხადებლად რეგისტრირებულ უნდა იქნას მესაკუთრე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ან წარმოდგენილ უნდა იქნას რეგისტრირებული განმცხადებლის დაინტერესებულ პირად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ზემოაღნიშნული ხარვეზის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, განცხადება დარჩება განუხილველი.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი